

კადრები

ქელი მ ნოვის ქუჩაზე, ატყე ჩაიგეტაგის სახ-
ლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисе. Въ
редакцію газеты „Дროზდა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., და ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
სალკ ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირდღით, ოთხშაბათდღით და პარასკეოდღით

განცხადება

შიილბა ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრან-
ცულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრებით,
სტრიქონზე — 8 კაპ., ციკროთი, სტრიქ. — 10 კაპ.,
პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწავლეს
და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა,
დაუბეჭდელი ხტატი ავტორს არ დაუბრუნდება.

კადრებისაზი

„დროების“ კადრები იძულებ-
გულია გამოუხატოს იმ ხელის-
მოწერაზე, რომელთაც წლე-
მანდელი გაზეთის ფული ჯარაც
არ გამოუბანიათ, რომ თუ ამ
ღვინობისთვის დაგეგმილი არ
გამოიბანებან ხედავ ფულს, გა-
ზეთის გაგზავნა მოსალოდნელია.

ამასთანავე და ამ თავითვე სა-
პირდო ვრასტო გამოვაცხადოთ,
რომ მოგვალს ფულს გაზეთი
ენიხათ არავის არ გაგზავნება.

ეს ორი განცხადება არ შეე-
ხება იმ პირთა, რომელთაც გა-
ზეთი ჩვენი აგენტების შუამავ-
ლობით დაუბარებიათ.

ჩვენ შეუდგებით მომავალი 1876
წლის „დროების“ კალენდრის შე-
დგენასა და ამის გამო ეთხოვთ იმ
პირთა, რომელთაც ამ „კალენდრის-
თვის“ სალიტერატურო ანუ სხვა
გვარი მასალები ექნებათ, რაც შე-
იძლება მალე მოგვაცხადონ.

ზანცხადებანი „კალენდარი“ და-
საბეჭდათ ნომბრის თხუთმეტამდი
შიილბაში.

თვითონ „კალენდარი“ კი ნომ-
ბრის დამლევს გამოვა.

სამართლებლო

ლოჭინის ფოლა

წარმოდგინეთ დედა, რომელსაც
ერთადერთი შვილი ჰყავს. ამას ეს
„მხოლოდშობილი“ ყველაფერს ურ-
ჩევნია დედა-მიწაზე; იმის შესადარს
ქვეყანაზე ვერაფერს ჰხედამს; იმას
ჰგონია, რომ ის ყველა შვილებზე
უკეთესია, რომ ის უნაკლებო და
ყოველის კეთილის ღირსებით შემ-
კულია.

ახლა წარმოდგინეთ, რომ ამგვარ
დედასთან მოდის ერთი ხეპრე ვინმე
და პირში, აშკარად ეუბნება, რომ
შენს შვილს ესა და ეს ნაკლებე-
ვანება და წუნი აქვსო, ამა და ამ
მხრით იმის გარგვანი შეხედულება
ანუ შინაგანი, ხასიათის ღირსებანი
გასაკიცხავი არისო და სხვ. და სხვ.

რა მდგომარეობაში უნდა ჩაეარ-
დეს ამ გვარი სიტყვების გამგონი
დედა? რა გულ-გრილობა უნდა
ჰქონდეს, რომ ამისთანა სიტყვები
მოითმინოს თავის დედის-ერთაზე?

სწორეთ ამ გვარ მდგომარეობაში
იყო ძველდროსი სამეურნეო საზოგა-
დოება, როდესაც იუბილიის დროს
ლოჭინის სამეურნეო შკოლაზე ჩა-
მოეარდა ლაპარაკი.

ლოჭინის შკოლა ერთადერთი
საგანია, რომლითაც ამ საზოგადოე-
ბას თავი მოაქვს, რომელიც იმას
თავის ერთგული და განუწყვეტელი

მოქმედების დასამტკიცებლად, თა-
ვის სასიკადალო საქმედ მიიჩნია,
რომლიდამაც ის მოელის შთამომავ-
ლობის წინაშე სახელის დამსახუ-
რებას, რომელსაც ის, როგორც
მშობელი თავის დედის-ერთა შვილს,
ისე უვლის, ისე ეფუფუნება!

და თქვენვე გაიგეთ ალბა — რომ-
გორ არ ეპიტანებოდა ამ საზოგა-
დოებას, ანუ უკეთ ვთქვათ უფ. სი-
ტრესკის, როდესაც, ამ შკოლაზე
მოლაპარაკების დროს, ზოგიერთებმა
სთქვეს, რომ ლოჭინის შკოლა, რომ-
გორც სამეურნეო შკოლა, გროშით
არა ღირსო, რომ იქ არათუ საზო-
გადო მეთურნეობის წაყენა, სწავლა
და რომლისამე ახალი წარმოების
შემოღება, ცხოვრებაც არ შეიძლე-
ბო, რომ იქ არც წყალი არისო,
არც რიგინი ნიადაგიო, შაგირდები
მირბიან იქიდანო, რომ ქაობებისა-
გან იქ ქათმებს აციებდნო, — და ყვე-
ლა ამის შემდეგ ჩვენ გვაკვირვებსო,
— რატომ და რაში იხარჯება ამ შკო-
ლისათვის ყოველ წელიწადს თხუთ-
მეტი ათასი მანეთიო და რატომ ამ-
დენი ხანი საღმე სხვაგან, უფრო მო-
ხერხებულ ადგილას არ გადაუტანი-
ათო.

ამ გვარი საბუთების დასარღვევე-
ლად, უფ. შელიხოვესკიმ მხოლოდ
ერთი მოსაზრება მოიყვანა; მაგრამ
ძალიან ახირობული მოსაზრება კი
იყო ეს მოსაზრება: ის ამტკიცებდა,
რომ რაც უფრო ძნელი შესაძუმშა-

ვებელია რომელიმე ნიადაგი, რაც
უფრო მანებელი ჰაერია იქ და ერ-
თი სიტყვით, რაც უფრო საძაგელი
და მოუთავსებელი ადგილია — შკო-
ლისათვის ისა სჯობიაო. რატომო?
იმიტომო, რომ შაგირდები მოუსაყ-
ლიან ადგილზე მოსაყვანას
დაისწავლიანო, ნოტიო ალაგების
გამშრალებას შეეჩვევიანო, ცუდს ჰა-
ერს გააკეთებენო და ერთი სიტყვით,
დაისწავლიან — თუ როგორ უნდა ბუ-
ნებასთან და იმის მოვლენასთან
ბრძოლა და დაუმორჩილებელი ძა-
ლების დამორჩილებაო!

რალა თქმა უნდა, რომ ამ გვარმა
მოსაზრებამ გაამხიარულა მსმენლე-
ბი. ზოგმა სთქვა: მაშ კლდეზე რომ
აეშენოთ სამეურნეო ფერმა ის ემ-
ჯობინებო! ზოგი, ამავე მოსაზრების
ძალით, ამტკიცებდა, რომ რალანც
ასეა, მაშ შირაქის უდაბნოში ან იალ-
ბუზის მთაზე გადავიტანოთ ლოჭი-
ნის შკოლაო და სხვ. და სხვ.

ბოლოს საქმე იმით გადაწყდა,
რომ, თ. ა. ჩოლაყაშვილის წინადა-
დებით, დაინიშნა რამდენიმე მკოდ-
ნე კაცისაგან კამისია, რომელმანც
უნდა გამოიკლიოს ამ შკოლის
მდგომარეობა და თავის ჰაზრი წარუ-
დგინოს საზოგადო კრებას იმის თა-
ობაზე: შეიძლება ლოჭინის შკოლა
იქვე დარჩეს, თუ სხვაგან საღმე უნ-
და გადაიტანონ?

კამისია ისეთი პირებისაგან არის
შემდგარი, რომელიც, იმედია, უფ.

ფალტონი

ხმა მონასტრიდან

დასდგა შემოდგომა და ჩვენი ძიე-
ვის არემარესაც ეცვალა ფერი: ამის
ამწვანებული მთები ნელ-ნელა ყვი-
თლდებიან, მტვრინი ქუჩები ხეების
ფოთლებით იფინება; ლურჯი ღრუ-
ბელი აღარ შორდება ცას და სქე-
ლი ბურუსი დედა-მიწას. ამ გვარად
გაბმულმა ნახევარ ღრე-ღამემ თით-
ქო შესწყვიტა ადამიანის სიცოც-
ხლეო...

შხალხო ქუჩები, ცარიელი მიდ-
ნები, უხმაურობა... რალც სასაფლა-
ოვანებური სიჩუმე აწევბა ჩვენ ძიევს.

ამ სიჩუმეს მხოლოდ ჩრდილოე-
თის ქარი არღევს. მს გაცხარებით
დაგვექრის და თავის გაბმული გრია-
ლით და ჩვენი ფანჯრების რახა-რუ-
ხით ეხლავე გვატყობინებს, თუ რა
სუსხიანი სტუმარი იქნება ეს ჩვენ-
თვის...

ღიან, ჩემო ბატონო, გვიანლოე-

დება ზამთარი!... ზამთარი — ეს შემა-
წუხებელი და სიკვდილი საწყალი კა-
ცისა... ავით ჩამოაყრევინებს
ხოლმე ყურებს ჩვენებურ გლენს პირ-
ველად დანახული თოვლი; ავად დაა-
ლონა და დაფიქრა ზამთრის მოა-
ხლოვებამ ჩვენი ბედნიერი ძიევის
„უბედური ხალხიო...“

რა გაბმული ტანჯვა და ეება იქ-
მნება ადამიანისათვის ჩვენს დედა-
მიწაზედ ცხოვრება, რომ მას არა
ჰქონდეს წარმოდგენა, იმედი მომა-
ვალისა! მს რომ არ იყვეს, ნუ თუ
ბევრ ხანს მოუწდება არა მკედარი კა-
ცი იმ საძაგელ ადამიანის გამანადგუ-
რებელ მოვლინებასთან მისელას, რომ-
მელსაც სასოწარკვეთილება ჰქვინა?
ჩვენი ცხოვრება ისეა აწეწილი და აბ-
მული, რომ კაცს ბევრი დაკვირვება
არ მოუწდება იმ უსწორ-მასწორების
და საძაგლობის დასანახად, რომელ-
შიაც არის განხეული ადამიანი.


მართი გვიჩვენეთ, უმსგავსი ქვეყ-
ნის ღირსეული შვილებო, გვიჩვენ-
ეთ — სად არის ის სიმშენიერე და
განწყობილება ბუნებისა და ცხოვრე-

ბის მოვლინებათა შორის, რომელ-
საც აგერ ოცი საუკუნეა რაც მოუ-
სვენრად და ხმა-მალა ჩაგვჩხავით
ყურებში? ნუ თუ სრულდებ ამის წი-
ნაღმდები არა სუფევს დედა-მიწა-
ზედ? ბადავლოთ თვლი, გნებავთ
აი, ამ ჩვენ ძიევს... ამ „ღეთის და
მეფის ქალაქს,“ როგორც წინათ ეძა-
ხოდნენ; — ამ „ურიების და ბერების
სადგამს,“ როგორც ეხლა ეძახიან...

შეხედეთ ამ მშენიერ მალალ სა-
ხლებს თავიანთ მდიდარი მალაზიებით
და გაჭიკნილი ღუქნებით! ბახედეთ
ამ ჩვენ წინ გაშლილ მომლაშო ღნე-
პრის ნაპირებსაც, სადაც მრავალი
ფილუკები და გემები მომდგარან!..
მისია ეს ამოდენა ხილი, პური, შე-
შა და სხვა ათასი საეჭპრო, რომლე-
ბითაც ეს გემები და ფილუკები პირ-
თამდისინ არიან საყვინი! მისია ეს
ამოდენა ხმელი და ნედლი თევზი;
ეს სახმარი ტყე, კირი, აგური, — რომ-
ლითაც დაფარულია ღნეპრის მარ-
ჯვენა ნაპირი? — მის ეკუთვნის ეს
ყველაფერი?
ღიან, მდიდარი უცოდველია აქ!

და ან კი რა ჰქმნას მან? — სად გას-
წყდეს იმ სიშორე მოსკოვსა, პეტერ-
ბურლსა და სხვ. მს ხედავს ძიევის
საწყლებს და, აკი, შევლის კიდეცა!
მაშ, ქრისტიანიც ამისთანა უნდა!..
ისე წირვანედ არ წაბძანდება, რომ
თითო გროში არ დაუჩივოს საყ-
დრის კარებთან ჩამწყრივებულ გლა-
ხებს და მთხოვარი ისე არ მივა მას-
თან, რომ ნაბოძები არა წამოიღოს
რა! მსრეთი მწყალობელია აქაური
შემძლებელი კაციო.

და სწორეთ ამ ქრისტიანული წყა-
ლობისა გამო მომხდარა ეს, რომ
მთელი ძიევი მთხოვრებით არის საყ-
სე. მე ვერ არა ვარ მნახველი ამო-
დენა მთხოვრებისა, რამდენსაც ვხე-
დავ ძიევში. მსენი, მომეტებულად,
ეკკლესიების დერეფნებთან არიან მო-
გროვილნი და, რადგანაც აქ ფეხს
ვერ გადასვამთ, რომ ეკკლესია არ
დაგინდეთ წინ, ამისთვის შინიღან
გამოსული თითქმის ვერ გადაადგამთ
ლაჯს ისე, რომ არ დაინახოთ თქვენ-
სკენ გამოშვრილი ხელი ნახევარ
ტიტველა მთხოვრისა. ღარევენ თუ



ქელიხოვეკის სახიარულო მოსაზრებებს ყურადღებას არ მიაქცევს და ისეთს ალაგზე გადატანას ურჩევს ამ ჩვენი ერთად-ერთი სამეურნეო შკოლისას, სადაც შაგირდებს ცხოვრება და სწავლა შეეძლება და სადაც მეურნეობის ცოდნის მიღება საქართველოს ყველა მხრის შაგირდებისათვის მოსახერხებელი იქნება.

ს. მესხი

დღიური

□ ძნელია გვეწერენ, რომ ამ ჟამად აქ სასოფლო შკოლების დირექტორი უფ. ბ. ლობჯინიძე იმყოფება, რომელიც შკოლებისა და აგრეთვე სასოფლო ბანკების გახსნას ცდილობს. მაგრამ ახლა აქ არც გლეხა და არც თავადა არ ეშკოლება და არც ებანკება, რადგან ისეთი მოსაყვანილი ღვინისა, რომ რაც ქვეყნები იყო, სულ გააფხვს და აღარ იცან, თუ რაში ჩაასხან ტკბილი.

□ ს. გარეჯოს სოფლის საზოგადოებას ერთი ყურადღების ღირსი დაწესება შემოუღია: რადგან მთელი სოფელი ვერას მოვადგარებთ შკოლის თაობაზე, ამისგანაც და-ათი კაცი ამოვიჩიოთ, რომელნიც თავის მხრით ორ კაცს ამოიჩივენ და ეს ორი კაცი განსაკუთრებით შკოლის მხრუნველი და ზედამხედველი იქნება. „სასოფლო ბანკის“ რედაქცია სრულებით საფუძვლიანად ურჩევს სოფლებს, რომ რახან ყველა საზოგადოების საქმეების მამასახლისებზე და მოსამართლეებზე მინდობა სასიკეთოდ არ ღირს და ვერც მთელი სოფელი გარიგებს ამ საქმეებზე, ისა სჯობიან, რომ თითოეული საქმისთვის, მაგ. შკოლის-

თვის, პურის მალაზებისთვის, ბანკისთვის სოფელმა ორ-ორი ან სამ-სამი სანდო კაცი ამოიჩიოს და იმათ ჩააბარონ.

□ ღვინობისთვის 2-ს მთილისის მლქის სასამართლოში განიხილეს თ. ნ. ჩოლაყაშვილის საჩივარი, რომლითაც, ის თავის ცოლს კნა მელანისა აბრალვდა 10,000 მანეთისა და გულ-საკიდის მოპარვას.

მოწმებდა იყენენ: მთილისის ლუბერნატორი პ. ი. მარლოვსკი, მთილისის თავად-აზნაურობის წინამძღოელი თ. რევაზ ანდრონიკოვი, „მთილისის მოამბის“ რედაქტორი პ. ა. ბებუთოვი და უფ. მოძღვაროვი.

როგორც თვით საქმის გარემოებიდან, აგრეთვე მოწმეების ჩვენებიდან ცხადათ აღმოჩნდა, რომ თ. ნ. ჩოლაყაშვილის საჩივარი არავითარსა საფუძველზე არ იყო დამყარებული. ამიტომ ბაასის დაწყებამდინ თ. ნ. ჩოლაყაშვილმა განაცხადა, რომ რადგანაც ჩემი საჩივარი ვერ დავამტკიცე, უკან მიმავსო. მაგრამ სასამართლო არ დათანხმდა და ვეკილისაგან სტყვის წარმოთქმის შემდეგ სრულებით გაამართლა კნა მელანია და სასამართლოს ხარჯი მომჩივანს დაწერა.

როგორ მოგწონთ ამ გვარი შეურაცხყოფა უმანკო ადამიანისა, ამ გვარი მოქმედება „პატივცემული“ მეუღლის მხრით?

□ შოთილამ გვეწერენ, რომ ჩვენს ქალაქში ამ უკანაკნელ დროს ერთობ განშირდა ქურდობა. ბანსაკუთრებით რკინის გზაზე თითქმის დღე არ გავა, რომ მეგრელებმა ერთ-

თი-ორი მოგზაური არ გაქურდონო.

□ მართა პატივცემული გურული „გაუქუჭიანებია“ იმ კორრესპონდენტისა, რომელიც ამს წინათ იყო „დროებაში“ დაბეჭდილი იმის თაობაზე, რომ ორი გურული სამეგრელოში მალულად გადმოვიდნენ და მკითხაობა დაიწყესო. ბურული მალულად და სამხრით არაფერს არ იქსო, ამბობს ჩვენი კორრესპონდენტი, და ამიტომ ისინი გურულები არ უნდა ყოფილიყვნენო; და კიდევ რომ ყოფილიყვნენ სუჯუნაში და ხალხი მოეცუებოდათო, რა გასაკვირველი არისო, „როდესაც იქ (სუჯუნაში) ხალხი მარჩიელს და სოფლის ექიმს სასწაულთ-მომქმედათ სთელისო და ნაბღისა და თხის ქურდს კი ვაქცაყათაო!“

□ ძველსის მთიულმა სამართველომ მისცა აღრინდელ მემამულეს მეიერს მოწმობა, რომ იმას უფლება აქვს ძველსაში ოქროს მადანი ეძიოს.

მაშა სადამე ორი ოქროს მეძებარი ახლა ჩვენში: ერთი ეს უფ. მეიერი და მეორეც უფ. მასლოვი....

□ „ძველსაში“ გამოცხადებულია ბრძარება, რომლითაც ყველა კერძო შკოლები აღექვანდრობოლოში დაიხურებინან, რადგან იმათ გამხსნელებს კანონიერი უფლება არა აქვთო.

„დროების“ კორრესპონდენცია

დუშეთი, 5-ს ოქტომბერს
ბუშინ, ე. ი. 4-ს ოქტომბერსა, აქაურს მომრიგებელ სასამართლოში იყო განხილვა საქმისა ორის ახალგაზდა ბიჭებისა, რომელნიც იყენენ ორნივე სხვა სოფლებისა; იმათგანი ერთი ოქრომქვედელი და მეორე მეწვრიმალე ებრაელი. ოქრომქვედელი-

არა ლოცვა-წირვ-სთვის, ესენი ჩაუმიწვრიდებიან ეკლესიის შესავალ გზას აქეთ-იქით და, ორთავე ტიტველა მუხლებზე დაჩოქილნი, ხან ცას ახედვენ და აიშვებენ ორთავე ხელებს მალა, ხანაც თავსა და ხელებ ახლიან მიწაზე და თანაც კითხულობენ ზოგი „მამაო ჩვენოს,“ ზოგი „მრწამს... ის გავწევებთ წმინდა ღირს შეოდოსეს, ეს — სასწაულთ-მოქმედ ტიხონს და სხვ. ბოლოს გესპით შეწყალების თხოვნა.

და ამ გვარი ხალხი ცოტა როდია ძავეში: კვირაობით, წირვის გამოსვლის შემდეგ თვითოეული ეკლესიის წინ თქვენ შეგიძლიანთ ოცი, ოც-და-ათი მთხოვარი დასთვალათ.

მა წინაზედ ძიევის ლაერის გაღალწილში ისეთი დიდი ხროვა ენახე მთხოვრებისა, რომ მე გაეფიქრე — უათუოთ აქ მთხოვრების საერთო სახელმწიფო სადგომი იქნება-მეთქი! მაგრამ, რას ბრძინებთ, — აქ ამ გვარი არა გამოჩნდარა: მთხოვრები შეგროვილიყვნენ ისე, როგორათაც სხვა ეკლესიებთან. როდესაც წირვა

გამოვიდა და გალაგდა ხალხი, ცოტა ხანს უკან ამ ნახევარ ტიტველა ხროვამაც გაიარა გალაენის კარი და გაიფანტა ლაერის ამწვენებულ მინდორზედ.

მეც უნდა ესთქვათ, რომ ნახევარზედ მომებული ამ მთხოვრებისა არის სხეულით სრულზედ საღი, მრთელი ხელ-ფეხით, თვალთ და ჯანით.

მაშ რის ბრალია, რომ ამათ დაუკარგავთ გონიერული თავის მოყვარება, პატივის ცემა თავიანთ კაცური ღირსებისა და, შრომით ლუკმის მოპოვების ნაცვლად, ხელი მიუყვიათ მთხოვრებისთვის? იქნება არ არის სამუშაო? რუსეთი და კაცისთვის სამუშაო არ იქნება! მე ვიცი სხვა და სხვა მაშინებით არის აქაურობა საესე! არა, სამუშაო აქ ბლომათ არის... იქნება შრომა ღირსეულად არა საჩუქრდება?! ეს ნამდვილი და ცხადი ქვემარტებაა, მაგრამ რაც უნდა იყვის მუშა ულუკმო-პურათ არ ღარჩება რუსეთში? მაშ რის ბრალია, რომ აქ ასე გამარჯვებულან ეს მუქთა მკამელი ადამიანე-

მა შეიტანა საჩივარი, რომელიც გებისამეარ მიუცემა გარეულის მეთრეხილი მეორესთვის და ხელ-წერილიც დაგირავენისა, რომლის ფული, რომელიც უნდა მიეღო — ოცი მანეთი — აღარ მიუცია.

სასამართლომ გადასწყვიტა: რადგანაც ვერ დაუმტკიცა ფულის მიუღებლობა, საჩივარზედ უარი ეთქვასო.

საქმის გარემოება ყოფილა, როგორც ვხლა ლაპარაკობენ, ესე:

ოქრომქვედელი რამდენიმე დღე დასდევს და სთხოვს. ვერცხლეული დაიგირავე. ფული მიჭირს ოცი მანეთი და მომცეო. ბოლოს როდესაც ებრაელი ყაბულოს განდება, ოქრომქვედელი ჰსთხოვს, რომ არავინ გაიგოს ფულის მიღება, რადგანაც ვალი მმართებს დუქნებში და გამომართმევენ, არამედ მისცეს ჩუმათ, რომ იმ დღესვე აპირობს ღუშეთი-დამ წასვლასა. მა ებრაელი გაიფლის ბაზარში და იკითხავს ვაჭრებში: ერთმა კაცმა გირაოთ მომცა ვერცხლეული და დავიდარაბა ხომ არ გამიხდებდა, რომ ავიღეო? ამავე დროს ოქრომქვედელი დადის და ყველას შეჰჩივის, ეითომც მივიტანე ვერცხლეული და გირაობას ქალაღი და მითხრა: ვხლა ლოცვაზედ ვდგევარ, ჩვენ ლოცვას თავს ვერ დავანებებთო, ცოტა ხანს შემდეგ მოდი და მოგცემო; ეხლა მივედი და შარი მიგდო: როცა მოიტანე, ფული მაშინვე მიიღეო! ხალხი ვისაც ესმოდა ამათი ლაპარაკი, ერთობ იყენენ გაცხებულები იმათ ლაპარაკზედ. მორივე ღმერთს შეჰსტიროდნენ: „ღმერთო, ხომ შენ ჰხედავ, რომ შარს მიგდებსო!“ როგორც ლაპარაკზედ ისე სახეზედ, ორივე ეგონებოდა კაცსა მართალი.

სასამართლომ, როგორც ზევით ეთქვი, ვისაც სიმართლის ქალაღი ხელში ეჭირა, ის გაამართლა.

ულატაკისი. და ან კი როგორ შეიძლება, რომ ღარწმუნებული არ იყვის?!

აქ მშვიდობით, ჩემო მკითხველო! მაგრამ ცოტა მომიტმინეთ კიდევ; ერთი ახალი ამბავი მაქვს სათქმელი. მამ ცოტა ხანებში აქ გარდაიცვალა ერთი კაი „ბობოლათაგანი,“ რომელიც ლოგინად ჩავარდნიდამ მოყოლებული სულის ამოსვლამდისინ სულ იმას იხვეწებოდა თურმე, რომ წვერი მოეპარსნათ მისთვის, რადგანაც ღეთის წინაშე წვერით წარდგომა ღმერთს განარისხებსო... ლაპარაკი აღარ შეეძლო, მაგრამ მანც კიდევ ხელით ჩვენებით თხოულობდა წვერის პოპარსებას და იმდენი ექმნა, რომ მოეპარსათ წვერი.. ღიან, წვერით წარდგომა განარისხებს ღმერთსაო.....

მქვედებური
ღვინობისთვის 1-ს

როდესაც გამოვიდნენ სასამართლოდ, ერთს ჰკითხა მდინე: ბიჭო, ფული რატომ არ მიეცი, გარდა რომ მიიღე? — პასუხათ მიიღებდნენ: „მე მერტო, ხომ შენ იცი, რომ მე ჰალალ მართალი ვარო! მაშ გირაო მომიტანა და თავი დაანება ფულსაო? ფული მაშინვე მივეცი და მთხოვა, არაფის უთხრა, ვალი მმართებსო.“ მერტოს ჰკითხა მდინე, ის ეტყუა: „მე, მერტო, ხომ შენ ჰხედავ, თუ ხალხი არა, რომ მე მართალი ვარო; აბა რა სინიღისი მომცემს, ან დავა რათ მინდაო, რომ მევეც კიდევ მერტოთ ეთხოვდეთ; მე დავენდე მაგას, რომ მთხოვა ლოცვაზედ ედგევიარ და მერმე მოკცევიო.“

როდესაც დაშოშმანდნენ, ოქრომკვდელს ეთხოვნა უცხო ვაჭრისთვის: რადგანაც მეწერიმალე წასავლელი არის, ფული შენ მიეციო და გირაო შენ აიღეო. მაჭარი და თანხმდა და ეს საქმე ამით გათავდა.

ამ გვარი საქმეები ჩვენში ხშირად ხდება, რომ კაცი ვერ იტყვის — თუ ვინ ირის დამნაშავე და ვინ მართალი, თუმცა სულ ბოლოს კი თითქმის ყოველთვის მაინც საწყალი ჩენი ხალხი ზარალობს...

წ. უ — ვი

რუსეთი

ს. პეტერბურლის სამეურნეო საზოგადოებას ერთს თავის სხდომაში გადაუწყვეტია, რომ ბონისა და ბერცოგოვინის აჯანყებულები-სათვის 1000 მანეთი შეესწიროთო.

ამავე საგნის თაობაზედ, ერთს პეტერბურლის გაზეთში სწერენ, რომ ტეხნოლოგიის ინსტიტუტის სტუდენტებმა გულითადი თანაგრძობა გამოუცხადეს ამ აჯანყებულებსაო და იმათ სასარგებლოთ ფულებს აგროვებდნო. ზოგიერთს უშლესს საწაფლებელში ბონისიდა, ჩერნოგორიდა. ბერცოგოვინიდა და სხვა სლავიანური მიწებზედ ყოფილან თურმე მოსწაფლენი და მომეტებულ ნაწილს ამათგანს, როგორც შეუტყვიათ, რომ იქ რევოლიუცია არის და თათრებს ებრძვიანო, სწავლა მიუტოვებიათ და საზოგადო მტერთან საბრძოლველად წასულან.

ლიდი ხანია, რაც შაზანში შესდგა „მოსწაფლე სტუდენტების დამხმარებელი საზოგადოება“, რომელიც, როგორც ამ ჟამად იწერებია, ახლა ცუდს მდგომარეობაში არის თურმე, რადგან ადგილობრივი კერძო პირები თანაგრძობას არ უცხადებენ და ფულებს არა სწირავენ. მხოლოდ უფლის ერობანი ეწვეიან თურმე ცოტ-ცოტას; მაგრამ ამით შესამჩნევლად ვერ ეხმარებიან თურმე ღარიბ სტუდენტებსა.

მდისის ქალაქის გამგეობაში მოლაპარაკება ყოფილა ამას წინათ იმ მიზეზებზე, რომლის გამოც ამ უკანასკნელ წელიწადებში მდისის ვაჭრობა დაეცაო. შაისის დროს ცხადათ აღმოჩენილა, რომ, სხვათა შო-

რის, უმთავრესი მიზეზი მდისის ვაჭრობის დაცემისა ის არისო, რომ ამ ჟამად უფრო მომეტებული ხორბალი მეროპაში ჩრდილოეთ ამერიკიდან მოკეთო, რუსეთიდან (მდისით) კი პურის ზარდა თან-და-თან კლებულობსო; და ეს გარემოება იმიტომ მოხდაო, რომ პეტერბურის ვაჭრები თვისებითაც უკეთესი არისო და უფრო იაფიცაო.

რუსული ჟურნალის „მეროპის მოამბის“ უკანასკნელს წიგნში, სხვათა შორის, დაბეჭდილია პროფესორის იანსონის სტატია პეტერბურლის მცხოვრებელთ ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობაზე, რომლიდანაც ეტყოფულობთ, რომ 1869 წელს ამ ქალაქში 657,207 მცხოვრებელში სულ 788 ისეთი კაცი იყო და 1,557 ისეთი ქალი, რომელთაც გარკვეული საცხოვრებელი საშუალება არ ჰქონდათ. ამას გარდა ამ წელს იყო პეტერბურლში 1815 როსკიბი ქალი და 162 დედა-კაცი, რომელთაც საროსკიპო სახლი ეჭირათ.

რუსო ქვეყნები

გარსოგოვინის არაულობა. პარიჟის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა, რომელიც „ჰავასის აგენტობას“ ბერცოგოვინიდან მიუღია 26 ენკენისთვის:

„სცხო ქვეყნის ელჩებმა, რომელნიც ამ ჟამად მოსტარში არიან შეკრებილნი, მსმალოს წარმომადგენელს გამოუცხადეს, რომ ბერცოგოვინასა და ბონისასთან საქმეების მოთავსებას მთავრობა მხოლოდ მაშინ მოახერხებს, როდესაც ამ ქვეყნებში სრულიად შესცვლის ახლანდელ გამგეობის წესსა და მართებლობასაო; კიდევ რომ დააწყნაროს ახლანდელი არეულობა, მშვიდობიანობა დიდხანს არ გასძლეხსო. არეულობას სოციალური ხასიათი აქვს და არა პოლიტიკური (?!); როცა მთავრობა მოაშორებს იმ ბეგებსა და აღებს, რომელნიც ახლა ავიწროებენ ხალხს და უფრო სინიღისიან კაცებს დანიშნავენ იმათ ნაცვლად, მაშინ და მხოლოდ მაშინ დაწყნარდებიან აჯანყებულებიო; უამისოთ კი ბერცოგოვინის დამხობას უნდა მოველოდეთო.“

უეჭველია, ამ სიტყვებში ბევრი მართალია; სოციალური შევიწროება იყო მიზეზი, რომ ბერცოგოვინის ხალხი აღსდგა. მაგრამ, როგორც თითქმის ყოველთვის, ახლაც ამ არეულობას ორ გვარი ხასიათი აქვს: ეკონომიური და პოლიტიკური, რადგან ესენი ორივე მჭიდროთ არიან, ერთმანეთზე დაკავშირებული. პოლიტიკურ თავისუფლებაზედ, უეჭველია, ეკონომიური კეთილდღეობაა დამოკიდებული და ხშირად ასეა, რომ ვინც პოლიტიკურად დამონაყებულია, ის ეკონომიურადაც შევიწროებული და გაჭირებულია. აჯანყებულები რომ მართო ბეგების და აღების გამოცვლას არ კმაყოფილდებიან, იმათი განზრახვა რომ მს-

მალსაგან პოლიტიკური განთავისუფლებაა. — ეს არა ერთხელ იყო თვითონ იმათგანვე გამოცხადებული.

საზრუნავითი. ბაცხარებული ლაპარაკი და ბაასია ამ ჟამად პარიჟის გაზეთებში იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა ამოიჩინონ პარიჟის მუნიციპალური რჩევის (ქალაქის გამგეობის) წევრის ალაგზე, რომელიც ახლა სორბონის უბანში თავი უფალია. რესპუბლიკელმა პარტიამ თავის კანდიდატად მნგელგარდი დანიშნა; ამან გამოაცხადა თავის პროგრამა, რომელითაც ის ითხოვს: რესპუბლიკის დამკვიდრებას, ვალდებულსა და მუქთ პირველ-დაწყებით სწავლას უკოლებში, სამხედრო მდგომარეობის მოსპობას და სხ.

ზოგიერთ გაზეთებში დაბეჭდილია ხმა, ვითომც სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტ ბჰიუჭფის თანამდებობის თავის დანებება ჰსურს და ამის მოადგილეთ ძველი მინისტრი ზურტუ (ბონაპარტისტი) ჰყავს მაკ-მაჰონს სახეშიო. მაგრამ ამ ზურტუმ, თავის მინისტრობის დროს, ისეთი სახელი დამიანათურა საზოგადოებაში და თვით ქრებში, რომ რალა თქმა უნდა, მაკ-მაჰონი იმის დანიშნვას ვერ გაბედავს.

ქრონიკა

ოსმალოს საპარტიველო 1323 წლიდან ეიღრემ 1579 წლამდე

ახლა რუსეთს უჭირავს საქართველოს სამეფოს შემდეგი ნაწილები: აფხაზეთი, სვანეთი, სამეგრელო, ბურია, მართლი და ქახეთი. ამ ქვეყნებში წინად ცხოვრებდნენ: აფხაზები, სვანები, მეგრელები, იმერლები, გურულები, ქართლები, კახელები, ინგილოები, ფშავესურები და თუშები და, აფხაზებს გარდა, ეს ყველა თემება შეადგენენ ქართველ შთამავლობის ხალხს.

მაგრამ რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლამდე საქართველოს უფრო დიდი სიერცე მიწა-წყლისა ეჭირა და ამ სიერცეზე სცხოვრებდა ქართველი ხალხი და აღვიარებდა ქრისტიანობას, ჰყვანდათ ერთი მეფე და იყვნენ ერთ განზრახ, როცა უბედურება ეწვეოდათ. ასრე იყო 1323 წლამდე.

მართალია, ლაშა ბიორგის შეილის, ღავით სოსლანის მძლავრობისა გამო, 1268 წელს ერისთავი სარგის ჯაყელი გადაე მფისაგან და გახდა თავისუფალი მთავარი სამცხე-საათაბაგოსი; მაგრამ ეს საქართველოს სამეფოს სარგებლობას და ერთობას არას აწებდა, და როგორც ეს სარგის ჯაყელი, აგრეთვე იმისი შვილებიცა 1451 წლამდე ემორჩილებოდნენ საქართველოს მეფეების ბრძანებასა.

1323 წელს მოიშალა ერთობა საქართველოს სამეფოს მარებისა: ერისთავები განსდგნენ მეფისაგან და დაიპყრეს: შერაყარე ჯაყელმა — სამცხე-საათაბაგო, შარვაშიძემ — აფხაზეთი, ბელოვანმა — სვანეთი, ღადიანმა — სამეგრელო და ბურიელმა — ქახაბერმა — ბურია.

ამის შემდეგ საქართველო ერთ მეფის უფლების ქვეშ ვეღარ შეიყარა და დროს-და-დროს განმავლობაში მსმალეთმა და სპარსეთმა ძალიან შეაწუხეს.

ამის მიზეზნი იყვნენ მთავრები აფხაზეთისა, სვანეთისა, სამეგრელოსი, ბურიისა და სამცხე-საათაბაგოსი. მაგრამ ამათში უფრო დიდი ენე-

ბა მისცეს ქართველების ერთობას, ძმურს სიყვარულს და მტრულსა და ზოგადოდ თავის დამხმარებლობაზე, ბურიელ-ქახაბერმა და ჯაყელებმა. ამ სამმა მთავარმა ისრეთი ერის ერთობის მანებელი და დამამხობელი პოლიტიკა დაიჭირეს, რომ საქართველოს თვითარსებობას უთუოდ ბოლო უნდა მოჰვებოდა. სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაყოფილი საქართველო ნეკრესის ქარვბით შეპყრობილს კაცსავით ფართხალვება და ქართველები ძა-ძმის კვლევლობის ურთიერთ ბრძოლაში ერთმანერთს სისხლს ასხამდნენ და იმით იგრილებდნენ გულს. მს სამი მთავარი რომ შეატყობდნენ, იმერეთის მეფე ძლიერდებოდა, მაშინვე შეპყრავდნენ ერთმანეთში პირობას და დაიწყებდნენ იმის წინააღმდეგ მოქმედებას და საქმეს იქამდე მიიყვანდნენ, რომ ქვეყნისათვის ბედნიერების მოსურნე მეფეს დაამარცხებდნენ, დაამდაბლებდნენ და თვითონ ამალდებოდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ დაუბრკოლებლად ხალხი ცარცონ. იმათ უნდოდათ, რომ მეფე არ ყოფილიყო ძლიერი, ამისათვის რომ ეშინოდათ, თუ გაძლიერდა, ჩვენ დაგვიმორჩილებს და თავის ნებაზე აგვიყოლებსო.

აგრეთვე იქცევოდნენ ერთმანერთის შესახებიც: თუ ბურიელი გაძლიერდებოდა, ღადიანი მეფეს მიემხრობოდა, თუ ღადიანი, მაშინ ბურიელი; თუ მეფე, მაშინ ჯაყელი, ღადიანი და ბურიელი ერთად შეიყრებოდნენ.

ამ სახით ყველას უნდოდა, რომ ერთი მეორეზე ძლიერი არ გამხდარიყო და იმათ დაუმოკიდებლობას ენება არ მისცემოდა. ასრე იქცევოდნენ მართლის მეფეებიცა და ამისათვის არც ისინი იყვნენ მთავრებისაგან მოსვენებაში.

აი ამ უბედურს მდგომარეობაში ჯაყელებმა სხვა ფრივაც დაიწყეს მოქმედება. თუ მართლის მეფე გაძლიერდებოდა და იმის დაპყრობას მოინდომებდა და იმათ არ შეეძლო მართლად წინააღმდეგობა გაეწია და ბურიელსა და ღადიანსაც მოცლა არა ჰქონდათ, იმერეთის მეფის ბრძოლისა გამო, ხან ოსმალებს მიჰკერძავდნენ ხოლმე, ხან სპარსელებს და ასრე იგერებდნენ მეფეებს.

ამასობაში ისინი შეეჩვიდნენ სპარსელებისა და ოსმალების ქომავობას. ამათაც ეს უნდოდათ: ისინი ხელს უწყობდნენ ქართველების ურთიერთ-შორის განხეთქილებას და თვითონ შორიდგან სეირს უყურებდნენ, და ისინი ბრძოლით რომ დაიქანცებოდნენ, მერმე არხინად შემოავსოდნენ და იკლებდნენ საქართველოს. ასრე მოეპყრნენ მაგალითებრ სამცხე-საათაბაგოსს.

როცა აქაურ მთავრებმა, მართლის მეფისა და ღადიან — ბურიელი-საგან შეწყუბებულებმა, მსმალეთს მფარველობა სთხოვეს და იმანაც უშეგო, მაგრამ საგამრჯელოდ სასყიდლის მიღებისათვის როცა რბევა დაუწყეს სოფლებს და მთავრებს შევიწროება, მაშინ ამათ ახლა სპარსელებს სთხოვეს შემწეობა, რომლებიც ამავე უბედურებას მიაყენებდნენ ხოლმე. მათს გაეყრებოდნენ ხოლმე და ვუის შეეყრებოდნენ. ამ სახით ჯაყელებმა თვითონვე თავის ხელით ყელი გამოიჭრეს და სამცხე-საათაბაგოსს არსებობას ბოლო მოუღეს.

1579 წელს დაიწყო იმისი გაოსმალება, დაიწყო ქრისტიანობის მოსპობა და მაჰმადის რჯულის შემოსე-

